საქართ. მშრომელთა სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი [illegible] მან.

№ 145

შაბათი, თებერვლის 11

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## მომხმარებელთა საყურადღებოდ

კოოპერატივ „მეურნე“-ში იყიდება გამომცხვარი პური რუმინიის კარგი ღირსების ფქვილიდან, ქართულ ფულზე ოცი ათას მანეთად.

გამგეობა.

გამოვიდა და იყიდება ყოველ თვიური სალიტერატურო-სახელოვნო ჟურნალი

## ხომალდი № 2

ჟურნალი ღირს 15 ათასი მან. 2

გამოვიდა რუსული სალიტერატურო გაზეთი.

## „ფიგარო“

შინაარსი: ნიკოლოზ მიწიშვილი—„ქართული ლიტერატურის მიმოხილვა“.
გ. ზდანევიჩი—„სენსაცია მეცნიერებაში. კაცობრიობის გაახალგაზრდავება“.
ანდრეი ლევინსონ—„რუსი მხატვრები პარიზში“.
ვლადიმერ ანანოვი—„სენ-სანსი“.
ალექსეი ტოლსტოი—„ნიკოლოზ გუმილიოვის ხსოვნას“.
ლექსები: ვაჟა ფშაველა—„ნაწყვეტი გოგოთურ და აფშინაიდან“ (თარგმ.)
ნიკოლოზ მიწიშვილი—„სამგლოვიარო მარში (თარგმ.)
შალვა აფხაიძე—„სანტა მარია“ (თარგმ.)
იგორ ტერენტიევი—„დიდებულია“.
ცნობები—პეტერბურგში. ხელოვნება რუსეთსა და საზღვარგარეთ. ტფილისის ლიტერატურული ცხოვრება, კვირიდან-კვირამდე, ქრონიკა და სხვ.

რედაქტორი—ნიკოლოზ მიწიშვილი.


## აღმასრულებელ კომიტეტის სასწრაფო სხდომაზე

9 თებერვალს, ღამით, ლადო დუმბაძის კაბინეტში გაიმართა სასწრაფო სხდომა ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა.

პირველი საკითხი ფულის გარშემო შექმნილი მდგომარეობა. რეფერენტია ი. წივწივაძე, კორეფერენტი ალ. სვანიძე. ხანგრძლივი ინტენსიური კამათია.

ჩვენს წინაშე მეტად დიდი საკითხია. ხალხის ფართო წრეები ჩაითრია საფინანსო საკითხებმა და ყველა მოელის გამოსავალს. საქართველოს რევკომმა გუშინდელს გაზეთებში უკვე გამოაქვეყნა ახალი დადგენილება საგანგებოდ რუსული ფულის შესახებ—ძიაი მიღება სავალდებულოა, მაგრამ გამორკვეულ კურსის მიხედვით.

ჩვენს საფინანსო ნომენკლატურაში ამას რეფორმას უწოდებენ. მართალიც, ერთი შეხედვით ბევრი რამ მოხდა, ერთმა ორატორმა „რუბიკონის გადალახვითაც“ აღსახა საქართველოს რევკომის დადგენილება, მაგრამ არსებითად დეფინიციის თვალსაზრისით რომ გავაშუქოთ ჩვენი მდგომარეობა, რევკომის ბრძანება შეუძლებელია ისე დავტოვოთ როგორც გამოცემულია.

ჩვენი ნებისყოფის სრულიად მიუხედავად, ჩვენი ყოველივე საეკონომიო ნაბიჯები ლაინგრო და დაიფუშა! ახლამა ტარიფებმა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობის მაგიერ მოგვიტანეს მათი კიდევ მეტად დამშევა და დაშინება, ეკონომიკაში წესიერება დაირღვა და უწესოება გამეფდა. ქალაქი ვერ ასწრებს გადასახადის აკრებას, მაგრამ ჩვენი ფული იღუპება, ნომინაცია მეფდება და ქაოსი ფეხს იკიდებს.

მოქალაქე პატიოსნად იხდის მოვალეობას, დაჩაგვალებს ასრულებს, კანონებს ემორჩილება, ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ატარებს—ჩვენი ფინანსები და სიძვირე კი ვაკხანკას მორევში შეცურებულა.

რაა იმის მიზეზი, რომ ხალხი მორჩილობს, მაგრამ არ მორჩილობს ცხოვრება? რა მიზეზია, რომ ცხოვრება თავზე გვახვევს ჩვენს დეკრეტებს და ამსხვრევს ჩვენს კეთილს განზრახვებს?

ამის მიზეზი უფრო ძირითადია, ვიდრე ზედაპირითი და გარეგნული. ჩვენ დავკარგეთ მესვეობის როლი ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ კი არა ვართ ნამდვილი მესვეურნი მთელი ჩვენი ცხოვრების, არამედ ნაწილობრივად. ასეთია მდგომარეობა განხილული ფინანსიურის თვალსაზრისით.

ჩვენი რესპუბლიკა მოწყობილია საკუთარი მეურნეობრივი პოსტულატების მიხედვით, გვაქვს საკუთარი სამმისიო აპარატი და საკუთარი საკრედიტო ინსტიტუტები. ესე იგი ჩვენ გვაქვს სრული ელემენტი ბიუჯეტის ფიქსაციისათვის, პირობანი ხარჯ-შემოსავლის შესადგენად. მაგრამ რამდენი დღე მიდის, იმდენად ჩვენ ვშორდებით ბიუჯეტს, ანგარიშიანობას, ყაირათობას, ესე იგი სამეურნეო პოლიტიკას. ახალ ეკონომიაზე ვლაპარაკობთ და მივიდეთ უძველესი ეკონომია, რომლითაც არც ბაშიბუზუკები ხელმძღვანელობენ და არც ველური ზულუ-ები. ჩვენ ვუქადავთ ხუთი ათასიანებს, ხოლო ჩვენსავე სახლში ვრცელდება ხუთი მილიონები! ასეთს პირობებში განა იოტის ოდნავ შეიძლება სტაბილიზაციის პოლიტიკის გატარება? ასეთს პირობებში ემისია კი არ ხდება, არამედ ფაქტიური დეემისაცია, ჩვენ ვხდებით ტიკი-ტომარა უცხოეთის ნიშნებისა.

სუბიექტიურად შეიძლება არ გვინდოდეს დავინახოთ რუსეთის საბჭოთა ნიშნებში—„უცხოეთის“ სიმბოლო, მაგრამ ჩვენს სუბიექტიურ განწყობილებაში საქმე არ არის. სუბიექტიურ განწყობილებების ალაგმვა რომ არ შესძლებოდა კომპარტიას, იგი დღეს დანგრეული პარტია იქნებოდა.

ჩვენი ისტორიული სადღეისო მოვალეობაა ჩვენი ფულის დევალვაციაზე კი არ ვილაპარაკოთ, არამედ განვამტკიცოთ მისი ვალვაცია. ჩვენი ფული სისტემატიურად დავუახლოვოთ ვალიუტარიზაციას და შევქმნათ მძლავრი ობიექტიური პირობები საქართველოს ფულის ინტერვალიუტარიზაციისათვის. ჩვენ ვლაპარაკობთ ინტერნაციონალზე, ყველგან ვმღერით ამ 3 მნებს, ფინანსიურ დარგში კი ჩვენს ფულებს ჩვენ მოუსპევით ყოველი გასავალი ინტერვალიუტარიზაციისათვის. საქართველოს კი შეუძლია თავისი ფული ასწიოს შესანიშნავს სიმაღლეზე და მას სახელი მოუხვეჭოს საგარეო ბაზარზედაც.

განსაზღვრული მიზნისათვის ჩვენი ენა და ლაპარაკი, დეკრეტი და დადგენილება სავსებით აშკარა და გარკვეული უნდა იყოს. ეკონომიკაში ორპოფობა და გაურკვევლობა—სიკვდილი და სამარეა. საქართველოს რევკომის საფინანსო გუშინდელი დეკრეტი სავსებით ორპოფული, ფუხარა და სუსტია. იგი სავსეა წინააღმდეგობებით და საჭიროებს დეფინიციას, სიცხადეს, გასწორებას და გარკვევას.

თუ ჩვენ გვინდა მუშების და ჯარის ინტერესები სავსებით დავიცვათ—აუცილებელიც უნდა მივიღოთ საქართველოში ერთი რომელიმე ფულის ნიშანი, როგორც სახელმწიფოებრივი და ძირითადი. რუსული ფული არ არის ჩვენი ძირითადი ფულის ნიშანი. მაგრამ დეკრეტში შედის ელემენტი იძულეობის, ხელოვნური ფიქსაციის, ვალდებულობის, ავტორიტეტიზმის, პროტექციონიზმის. ნუ თუ ვისაც კი რაიმე გაეგება ფინანსიურს ფულებაში მისთვის ცხადი არ არის, რომ ასეთი დამოკიდებულება ფულისადმი მოასწავებს მის არა დახმარებას, არამედ მის მთლად დალუპვას, დასამარებას. ეს თავისთავის დ.თკური სამსახურის გაწევაა. ეკონომიკა და ფინანსები ასეთს ბრძანებას კი არ ემორჩილება, პირიქით, ჩვენს ბრძანებას იგი ეკონომიკა თავზე გადაგვახევს და გადაგვიბრუნებს. იძულეობა და პროტექცია მხოლოდ შიშის სამშობლოა, პანიკის სამეფოა, ვაჭრის და მრეწველის დაშინებაა, ესე იგი ფულის ნიადაგის დანგრევაა. აი რას ნიშნავს არსებითად დეკრეტში იძულეობითი ელემენტის შეტანა. ეს მომენტი უნდა წარიხოცოს რაც შეიძლება სასწრაფოდ—ეს არის ჩვენი მეგობრული და ამხანაგური რჩევა ჩვენი ხელისუფლების ძალებისადმი.

დეკრეტი ჩვენ გვეუბნება რუსულ ფულის უპირველად მიღებას თავისუფალ კურსის მიხედვით. ამ დეკრეტს ტეხნიკურად ვერავინ გაატარებს საქართველოში, ტრამვაიზე ეს დებულება დეკრეტისა აღმასრულებელმა კომიტეტმა უკვე უარყო. არსებითად დეკრეტი უკვე უარყოფილია იმავე აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, როცა ის ადგენს, რომ გადასახადების გადახდა შეიძლება ერთი მესამედი რუსული ფულით. რისთვის ერთი მესამედი და არა მთელი? დეკრეტი ჩვენ გვიბრძანებს არა ნაწილობრივ მიღებას რუსული ფულისას, არამედ რამდენიც გადამხდელს მოესურვება. ესე იგი აქაც დეკრეტის ნაკლი დალადებს და პრაქტიკულად სავსეა ნაკლით და ნაკლით.

ჩვენ არ ვეთანხმებით ამ დეკრეტს იმიტომაც, რომ იგი ჩვენთვის მეტად მავნებელი გამოდგება თუ დროზედვე არ გამოვასწორეთ. მას შემდეგ, რაც ჩვენ რუსული ფულის ასპარეზი ფაკულტატიური გავხადეთ, ჩვენ იძულებული ვიყავით ჯარის და მოჯამაგირეების ანგარიშები გადაგვეტანა ქართულ ფულზე. მარტო ეს აქტი დიდი დახმარებაა ჯარის, ვინაიდან მის განკარგულებაში დღეს მეტი რეალი ღირებულება ქართული ფულის სახით, ვიდრე რუსული ნიშნების. მაგრამ ამ დიდ ფინანსიურ თავგანწირულების შემდეგ, ვისთვისღა იყო საჭირო რუსული ფულის აძულებით მიღებაზე ლაპარაკი და განსაკუთრებით გადასახადების დარგში?

ჯარს ჩვენი ფული აქვს, მუშას ჩვენი ფული უპირავს ხელში, მოხელე ჩვენს ფულს იღებს, მთელი მოჯამაგირეობა გადაყვანილია ჩვენს ფულზე, ამას შემდეგ ჩვენ ვკითხულობთ—ვისთვისაა საჭირო ასეთი ხელოვნური ზომები რუსული ფულების შესახებ? რა აზრი აქვს ამას, რაა მისი საფუძველი?

მდგომარეობის ჩამოსაყალიბებლად, როგორც გარდამავალი აქტი—ეს კიდევ დასაშვებია, მაგრამ ეს გარდამავალი აქტი შეუძლებელია გაგრძელდეს ხუთმეტ დღეზე მეტი. 15 დღე სავსებით საკმაოა რუსული ფულის პოზიციის გამოსარკვევად და ყველგან და ყველაფერში ქართული ფულის გამოსარჩენად.

ჩვენ არ შეგვიძლიან მეტის დაწვრილებით შევეხოთ ამ მეტად საინტერესო თანამედროვე საკითხს. ჩვენ გვჭირია სუფთა საქმე და გაბედული, ჩამოყალიბებული მოქმედება, ნათელი სიტყვა, აშკარა წინადადება. ქართული ფულის სტაბილიზაციას გენერალური ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მისი ინტერვალიუტარიზაციისათვის, მისი ვალვაცია უნდა ავსწიოთ და განვამტკიცოთ—ეს იქნება სიმტკიცე ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკისა...

თედო ღლონტი.

## ახალი ამბები

— ბირჟაზე. ვინაიდან ტფილისის კერძო ბირჟაზე არ გაყიდულა თებერვლის 9-ს ვალიუტა, ამიტომ ცნობები ვალიუტის კურსის შესახებ, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატს არ მიუღია.

— პროფკავშირის კლუბის გახსნა. თებერვლის 9-ს პროფსაბჭოს შენობაში გახსნეს კლუბი, რომელიც გაიხსნა ამხ. კურულაშვილის მისასალმებელ სიტყვით პროფსაბჭოსა და კლუბის დროშებით გამგეობისაგან. კლუბის გახსნას მიესალმნენ წარმომადგენელნი—განათლების კომისარიატის—ამხ. მარიამ ორახელაშვილისა; უმთავრესი პოლიტიკური განათლებისაგან—ამხ. ხაჭაპურიძე და საქართველოს წითელი ჯარისაგან ამხ. ნ. ოკუჯავა. გახსნას მიესალმა აგრეთვე ძველი რევოლიუციონერი მოლვაწე ნესტორ ცერცვაძე. მისალმებების შემდეგ გაიმართა კონცერტული განყოფილება ცეკვით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა არტისტებმა და მომღერლებმა.

— ხომალდი. რედაქციამ მიიღო ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალ „ხომალდის“ მეორე ნომერი შემდეგი შინაარსით: ა.—ქეშმარიტი რეალიზმი. ხარიტონ ვარდოშვილი: ღმერთის ხსენებაზე, ლოცვა უბედურთათვის, შეშლილი წელი, ღამე—მადლი ქუბო. ლეო ქიაჩელი: სამკაულეაი მოლი მუშა: მთებში. დემნა შენგელაია: შემოდგომის ბინდები. იასამან მწუხრი დედაქალაქში, შემოთენება. ქუჩიშვილი: სულის კივილი დღიური მიხ. ბოჭორიშვილი: ბარათი. ვარ. რ. ხამე—მოდი, მახარე! პროლეტარიატი და ხელოვნება, ბიბლიოგრაფია. ჟურნალი იყიდება 15000 მან.

— 1921 წლის ივნისის პირველ რიცხვებში წავიდა სახლიდან და მის შემდეგ მშობლებმა არა იციან რა მის შესახებ, სოფელ პატრიკეთის (ქუთ. მაზრა) მცხოვრები მოსე სპირიდონის ძე ნიგარაძე; დაბადებულია 1900 წელს, საშუალო ტანის, შავგვრემანი ყმაწვილი. შინ მოქსოვილი შალის ტანისამოსი აცვია, თუ ვინმემ იცის რაიმე მის შესახებ ვთხოვთ გვაცნობოთ შემდეგ მისამართით: ტფილისი, სასახლის ქუჩა № 6 გაზ. „ტრიბუნის“ რედაქცია. ას ნიჟარაძეს.

— ახალი გაზეთი. მარტის პირველ რიცხვებში რუსულ ენაზე აკაკი ბელიაშვილის რედაქტორობით გამოვა გაზეთი „ქართველი ფუტურისტები“. მონაწილეობენ: მზია ერისთავი, ნიკოლ თავდგირიძე, დავით გაჩეჩილაძე, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, გრიგოლ ორაგველიძე.

## პარტიაში

კვირას, დილის 11 საათზე, ცენტრალური ბიუროს ახალგაზრდათა ოთახში დანიშნულია ახალგაზრდათა დრ. კავშირის სხდომა.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

## რუსეთი

მოსკოვი. 9 თებ. ბუნებრივი პირობანი მომავალი წლის მოსავლისა კარგად ეწყობა. თითქმის ყოველგან ზამთრული მოქცია დამაკმაყოფილებელს მდგომარეობაში. თოვლი აწევს საკმაოდ.

მოსკოვი. 9 თებ. ნიჟნი-ნოვგოროდში თავდება შენება მუშათა ქალაქის, რომელშიაც დაბინავდება 11.500 მუშა. შექმნილია დროებითი ელექტრონის სადგური.

მოსკოვი. 9 სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შემოიღოს 1 თებერვლიდან ახალი, შედგენილი ომამდის არსებულ მანეთებში ნიხრის სასყიდელი ფოსტის, ტელეგრაფისა, ტელეფონისა და სხვ. რადიო—გადასაგზავნებზე.

## უცხოეთი

პარიზი. 8 თებ. პუანკარემ და ზამოისკიმ, პოლონეთის ფინანსთა მინისტრმა 7 თებერვლისათვის ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელსაც მხედველობაში აქვს საფრანგეთ-პოლონეთის სავაჭრო დამოკიდებულებანი, ხელშეკრულება კერძო საკუთრებაზე და ნავთის ამოღებაზე.

ბერლინი. ბერლინის გაზეთები იტყობინებიან, რომ ტრიესტი გადაიქცა ხანგრძლივად მკვდარ ქალაქად. ყოველივე ცდა იტალიისა ჩაუდგას მის ცხოვრებას ახალი სული, საუკეთესო შედეგებს არ აძლევს. გალიცია უკვე არ სარგებლობს ტრიესტით, ჩეხო-სლოვაკია უკვე უპირატესობას აძლევს ჰამბურგის პორტს, ვინაიდან დამოკიდებულება მასთან ალბით გაცილებით იაფია. ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ შეკრა იტალიასთან შეთანხმება ტრიესტის პორტის შესახებ, რომელიც ანიჭებს ჩეხო-სლოვაკიას საკმაო უპირატესობას, მაგრამ ჩეხო-სლოვაკიის კომერსანტები არ ატარებენ ცხოვრებაში ამ შეთანხმებას და ეკონომიის თვალსაზრისით მიაჩნიათ ხელსაყრელად გზა გერმანიის ზღვით, მით უმეტეს, რომ ჰამბურგის პორტი გაცილებით ფართოა ტრიესტის პორტთან შედარებით და დაკავშირებულია მრავალ-რიცხოვანი რელსებით მსოფლიოს ყველა ნაწილებთან.

პარიზი. „ტანი“ იტყობინება, რომ რიგიდან მიღებულ ცნობით ემმა გოლდმანი ა. ბერგმანი და რამოდენიმე სხვა კომუნისტების აგიტატორები, გამოგზავნილნი ამერიკიდან, დატყვევებულნი არიან ლატვიაში ბოლშევიკურ პროპაგანდისათვის. ერთი კვირის ტყვეობის შემდეგ, ისინი გაძევებული იქმნენ საზღვრებიდან.

ნაუენი. 8 თებ. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ გამოაცხადა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ გენუას კონფერენციაზე შეტანილი იქმნეს განსახილველელად პროექტი, რომლითაც გერმანიას უნდა გადაეცეს ნაწილი პოლონეთის მაზრებისა ზემო სილეზიაში. პოლონეთის სოციალისტები მოუწოდებენ მუშებს პოლონეთის ინტერესებისათვის ბოლომდის საბრძოლველად.

ბერლინი. 8 თებ. ვაშინგტონის კონფერენცია დაიხურა 1922 წლის 6 თებერვალს საზეიმო კრებაზე, როცა ხელმოწერილი იქმნა შეთანხმებანი და ხელშეკრულებანი, ბოლო პლენარულ სხდომაზე იუზმა განაცხადა, რომ იაპონიაჩინეთის ხელშეკრულება შანტუნის შესახებ, ხელმოწერილია შაბათს, ხელმოწერილია აგრეთვე საზღვაო ხელშეკრულება სენატორ რუტის წინადადების დამატებით. მოწერილია რეგლამენტი წყალქვეშა ნავების მოქმედების შესახებ, დამტკიცებულია დადგენილება მხრჩ... ლავი გაზების ხმარების აკრძალვის შესახებ, მოწერილია ხელი ჩინეთის დამოუკიდებლობის შესახებ, დადებულია ხელშეკრულება, რომლითაც იაპონიის ტერიტორია თავისუფლდება ოთხთა კავშირის მოქმედების სფეროსა და წყნარ-ოკეანეს შეთანხმებისაგან. მას შემდეგ, რაც ყველა ეს დოკუმენტები ხელმოწერილი იქმნა, გარდინგმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ადნიშნა კონფერენციის მიღწევანი და გამოსთქვა რწმენა, რომ კაცობრიობის ისტორიაში იწყება ახალი ხანა.

# ქართველ მუსლიმანების სულიერი ვითარება

თავი პირველი.

შეეხება ვაკფის შედგენის აქტს, მიზეზს, სწორ პირობებს ზოგიერთ სავაკფო ოქმებს და შეიცავს ხუთ ნაწილს.

ნაწილი პირველი შეეხება ვაკფის შედგენის აქტს და მიზეზებს.

საკითხი მე-43. ვაკფის შედგენის აქტისა და მიზეზის ძირითადი საფუძველი არის, სავაკფო ოქმში შესული და მოხსენებული დამვაკფელის მიერ აღიარებული სიტყვა.

საკითხი მე-44: ვაკფის აქტის შედგენის ძირითადი საფუძველი სიტყვა არის: „ჩემი ქონება დავვაკფე“ ანუ „სამარადისოდ შევწირეო“. ეს სიტყვები არის ვაკფის აქტის შედგენის ძალუმარი სიტყვები.

საკითხი მე-45. მუნჯის ცნობილი ნიშნებითაც ვაკფის აქტი იქნება შედგენილი.

საკითხი მე 46. სავაკფო ოქმში აღნიშნული ქონება, განმტკიცებული ქონება არის. სიტყვა „განმტკიცებული ქონება“, შემოსავლიანი ქონება არის; სარგებლობის მომტანი ქონება. აგრეთვე სიტყვა: „ქონება განუყოფელ-ფულის“ შინაარსიდაც იხმარება. ამ საკითხში ამ ორი შინაარსიანი სიტყვიდან, რომელიც იყოს მისაღებია.

საკითხი მე-47. მოვაკფე პირი, არის ის, ვისთვისაც დამვაკფელის მიერ დავაკფული ქონების სარგებელი არის მიჩენილი და მაშასადამე ვაკფის აქტის შედგენის დროს მოვაკფე პირის თანადასწრებას და თანხმობას არ მოითხოვს საპიროება. ვინაიდან დამვაკფელის მიერ აღიარებული ცნობილი სიტყვებით ვაკფის აქტი უკვე ხდება შედგენილი.

მაგალითად: რომელიმე პირმა თავის ქონება რომ დაავაკფოს და ვაკფის სარგებელი, რომელიმე კუთხის, უბნის ანუ რომელიმე სოფლის ღარიბთათვის რომ მიაჩინოს, თანახმად ვაკფის პირობებისა, ვაკფის შედგენის აქტი, სოფლის ღარიბთა მიერ აღიარებულ თანხმობაზედ არაა მაინც დამოკიდებული. და თუ ღარიბნი მოვაკფენი გამოცხადებული არიან და აღნიშნული სავაკფო პირობაში, მაშინ მხოლოდ ვაკფის აქტის შედგენის პროცესი მათ თანხმობაზე არის დამოკიდებული. და რომ მათგანმა მოვაკფე ღარიბმა, ვაკფის მიღება უარჰყოს, თავის სასარგებლოდ გამოღებული, ვაკფის შედგენის პროცესს წინ აღუდგება. ესე იგი მხოლოდ თვითონ ვაკფის სარგებელს მოკლებული დარჩება. და რაც შეეხება სხვა ღარიბ მოვაკფეთ, მათთვის ვაკფის აქტის პროცესი უკვე ხდება შედგენილი. მაგალითად: რომელიმე დამვაკფელი თანახმად ვაკფის პირობისა დავაკფული ქონების შემოსავლის სარგებელს, თავის ღარიბ ნათესავთან ერთად, რომელიმე თავშესაფარის ღარიბთა სასარგებლოდ რომ მიაჩინოს. და დამვაკფელის ნათესავი, მოვაკფე ნათესავი, თავისდამი დავაკფული ქონების შემოსავლიდან სარგებლობის უფლებას, რომ უარჰყოფს, მაშინ მხოლოდ თვითონ რჩება სარგებლობის უფლებას, რომ უარჰყოფს, მაშინ მხოლოდ თვითონ რჩება სარგებლობის უფლებას მოკლებული. და მთელი შემოსავლის სარგებლობის უფლება კი ეძლევათ თავშესაფარის ღარიბთა.

საკითხი მე-48. მოვაკფეს სიჩუმე, თანხმობის გამოცხადების ნიშნად არის მიღებული. ამასთან ერთად მოვაკფემ თავისთვის დავაკფული ქონების სარგებლობის მიღებისა და უარყოფის შესახებ შეკითხვის დროს ხმა არ ამოიღოს და გაჩუმდეს, მისი სიჩუმე თანხმობის გამოცხადების ნიშნად არის მიღებული. და ხდება ვაკფის შემოსავლის სარგებლობის ღირსი.

საკითხი მე-49. სარგებლობაზე უარჰყოფის გამოცხადების შემდეგ თანხმობა და შეტანილი თანხმობის გამოცხადების შემდეგ უარჰყოფა არის მიუღებელი. ასე რომ მოვაკფეს მიერ ჯერ უარის გამოცხადება და სინანულის შემდეგ თანხმობა—არაა მისაღებელი და დავაკფულის შემოსავლის სარგებლობის ღირსი ვერ შეიქნება და აგრეთვე მოვაკფემ ჯერ დათანხმდეს და შემდეგ რომ უარჰყოს, თანახმად ვაკფის პირობებისა უარი ძალა მიუღებელია და მაშასადამე დავაკფულის შემოსავლის სარგებლობასაც არაა მოკლებული.

მემედ აბაშიძე.

(შემდეგი იქნება).

# კეთილი ადამიანი

(ვასო მეგრელიშვილის გარდაცვალების გამო).

გორიდან მეტად სამწუხარო ამბავი წივიდეთ, სიცოცხლეს მოსწყვეტია ცნობილი სავსე ახალგაზრდა მასწავლებელი ვასო მეგრელიშვილი.

ოთხი წელია რაც ვასოს, როგორც მასწავლებელს, იცნობს გორის საზოგადოება. ამ ხნის განმავლობაში იგი ერთ თვალსაჩინო წევრად ითვლებოდა როგორც პედაგოგიურ, ისე სხვა და სხვა სოციალურ წრეებში და ყველას უყვარდა ქონდა დამსახურებული. არ მოხდარა არც ერთი საზოგადოებრივი ხასიათის დადგეითი მოვლენა გორში, რომ ვასოს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. ქალაქის განათლების და კომუნალური დარგების მუშაკნი თავის გვერდით ხედავდნენ იშვიათი ენერგიის ქონე პიროვნებას. მისი ფაქიზი თანამშრომლობით ეწყობოდა სხვა და სხვა კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც საქმიანი მნიშვნელობა ქონდათ დაკისრებული გორის საზოგადოებრივ საქმეებში.

საინტერესოა ვასოს მოღვაწეობა კერძოთ პედაგოგიურ ასპარეზზე. იდეალისტი და მიწოდებით მასწავლებელი, რომელიც შეგნებულად გრძნობდა თავის დიდ მოვალეობას ხალხის და კერძოთ მოზარდი თაობის წინაშე. ჯერ ვერ მოესწრო გაწვრთნილი გრძელი ისტორია ძიებაც თავისი შრომისათვის, მაგრამ ეს ხან მოკლე დროც ანანგრძლივებს მის სახელს ნაცნობთა შორის, ეს პატარა დროც საწყისი აკვნებს ფსიხოლოგიურ საზღვრებს და ყველასათვის მისაბაძავით ხდის მის მოქმედებას.

თვალსაჩინო კვალი გაავლო სამასწავლებლო ასპარეზზე ამუშაობას. ახალი მიმდინარეობა ექსპერიმენტალურ პედაგოგიკაში მისთვის უკვე ცნობილ თეორიად იყო გადაქცეული, რომლის რაციონალურად გამოყენებითაც შექონდა ახალი სული სასკოლო ცხოვრებაში ყველა მასწავლებლისათვის საძნელო საქმეს წარმოადგენს მოწაფეს ფსიხიური არსის გაგება და შემდეგ ამ მოწაფის ინდივიდუალობის ნიადაგზე წარმოება ობიექტური სწავლებისა, რომელიც შეეფარდება მის ფსიხოლოგიურ-ინტიმიურ გარემოებას.

ვასო მეგრელიშვილი ამ მხრივაც სამაგალითო პიროვნება იყო და სწორეთ ამ „ზაგების“ შედეგი იყო ის პირობა, რომელზედაც შემდეგ აღმოცენდებოდა ხოლმე სულიერი სიყვარული მეგობარმოწაფეთაგან.

გორის მასწავლებლობამ და მოწაფეობამ დაჰკარგა ნიჭიერი მესაიდუმლე. ყელში ცრემლ-მობჯენილი გულ დასერილი მისი ახალგაზრდა მოწაფეები ალბათ ხშირად მოიგონებენ თავის ხელოვანი მასწავლებლის გონიერ რჩევა-დარიგებას და აზრიან სიტყვებს ყველ დარგში:

პოლიტიკურ-პარტიულ მუშაობაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ სპეტაკ პიროვნებას. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გორის სამაზრო და საქალაქო ორგანიზაციების კომიტეტის წევრად ირიცხებოდა და აქტიურად ასრულებდა ყოველ გვარ დავალებებს.

პარტიული მოძღვრების გავრცელების იზნით, იგი არ იშურებდა თავს არც ერთ შემთხვევაში და შეგნებულად ვდებოდა ყოველ-გვარ დამცირებას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ზანაკიდან. მრავალჯერ სრულიად მარტო უმოგზაურია მას გორის მაზრის განაპირა პროვინციებში და პარტიულ იდეებს ავრცელებდა. მისი მოხდენილი სამიტინგო სიტყვა, გასაგები საუბარი მსმენელის ყურადღებას იპყრობდა.

მრავალ მხრივი იყო ვ. მეგრელიშვილის მუშაობა კერძოთ გორის საზოგადოების მიმართ და უკანასკნელიც ჩქარა იგრძნობს მისი გარდაცვალებით გამოწვეულ დანაკლისს.

გ. თავზარაშვილი.

# გრიშა კამკამიძის ხსოვნას.

სამშაბათს, 7 თებერვალს, საღამოს მატარებლით უკანასკნელად გავაცილეთ, მეგობრებმა, მოწაფეებმა და თანამოსამსახურეებმა დაუვიწყარი მასწავლებელი —სტუდენტი გრიშა კამკამიძე.

იგი არ იყო ცნობილი ფართე მასებისთვის, რადგანაც ამისათვის მას არც დრო და არც გარემოება ხელს არ უწყობდა. იძულებული მუდამ შრომასა და წვალებას, იგი მაინც პოულობდა დროს, რომ ემაცადინა და არ ჩამორჩენოდა თავის დროს.

და კიდეც მიაღწია მიზანს, მაგრამ ვაი, რომ არ დასცალდა თავის სურვილის დაკმაყოფილება.

განისვენე ამხანაგო გრიშა და ვეცდებით, რომ შენი სურვილი ჩვენ მაინც ავასრულოთ.

მშვიდობით...

ვ...ლოგ...

# კერძო წისქვილები ტფილისში.

ხშირად გარეგნულად ძალიან უბრალო და წვრილმან საკითხს აქვს უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა ქალაქის ღარიბ მოსახლეობისათვის, ვიდრე იმ განყენებულ და „ბრძნულ“ საკითხებს, რომელითაც არ არის ღარიბი ჩვენი მიმდინარე ცხოვრება. აი მაგალითად, წისქვილების საკითხის მოწესრიგება ტფილისში აუცილებლად მეტს შედავათსა და სიყვარულს აგრძნობინებს გადატაკებულს ნაწილს ქალაქისას არსებული წყობილებისადმი, ვიდრე ანტანტის მოხდენილი კრიტიკა თუ დახასიათება.

წისქვილების საქმე, განსაკუთრებით კერძო წისქვილებისა, ქალაქში მეტად უყურადღებოდ არის მიგდებული და მეპატრონენი ამით საკმაოდ სარგებლობენ. მაგალითად კერძო წისქვილში ფუთი სიმინდის დაფქვაში 4 გირვანქა სიმინდის მარცვალს იხდევინებიან, ე. ი. 10%, რაიც აუცილებლად არაჩვეულებრივად ძვირი გადასახდელია ქალაქის მუშა-მოსამსახურე წრეებისათვის. ჩვეულებრივ, ადრე ფუთი სიმინიდის დაფქვაში 1 გირვანქას ვიხდიდით, შემდეგ ორ გირვანქამდის აიყვანეს, დღეს კი 4 გირვანქა სიმინდს გვახდევინებენ. რაშია საქმე? ნუ თუ ქალაქის მესვეურების ხელმძღვანელობით ხდება ყოველივე ეს? თუ ამას მეპატრონის გაუმაძღარი მადა ნებულობს და ამლაგმველი მას არავინ გამოუჩნდა? ყველა დაგვეთანხმება, რომ სიმინდის კურსი არ დაცემულა, რომ ამას გამოეწვიოს გადასახადის ასე დონემდის აწევა. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით ჩვენს უპურო ქვეყანაში, იგი თითქმის სავალიუტო საქონელის როლს თამაშობს და ამ მხრით დამნაშავე თავს ვერ იმართლებს. იქნებ ისიც გვიკიჟინონ, რომ წისქვილებში ბევრი სპეკულიანტი ფქვავს სიმინდს და ნაკლები გადასახდელი ნორმის დაწესებით სპეკულიანტების დაცვას ვკისრულობთ. მაგრამ ვინც იცის ბაზრის უბრალო და უდავო კანონი, ასეთს შედავებას უსაფუძვლოდ იცნობს. ვინ არ იცის, რომ ამ გადასახადს გადიხდის იგივე გაჭირვებული მუშა და ნახევრად პროლეტარული ელემენტები მოსამსახურეებისა?

გარდა იმისა, რომ ქალაქის დიდი ნაწილი ვარდება პირდაპირ გაჭირვებულს მდგომარეობაში წისქვილებში ასე ძვირად სიმინდის დაფქვის გამო, ამავე ქალაქის მეორე ნაწილი, რომელიც გირვანქობით ყიდულობს სიმინდის ფქვილს იძულებული ხდება სპეკულიანტის გაუმაძღარს მოგებასთან წისქვილის მეპატრონის თავამვებული მადაც დააკმაყოფილოს. ამ გარემოებას აუცილებლად სასწრაფო ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს და დაუყოვნებლივ დასაფქვავი ნორმა დავიდეს ადრინდელს სამართლიან ნორმამდის, ე. ი. ერთი გირვანქა სიმინდი ან მისი ღირებულება დაწესდეს ფუთი სიმინდის დაფქვაში.

დამშეულ და გაძვალტყავებულ ქალაქის მცხოვრებთათვის ეს უფრო მეტი შესახები და საგრძნობი საქმის გაკეთება იქნება, ვიდრე ეს წარმოუდგენია ზოგ „მოიდეალისტო“ ინტელიგენტს.

სათანადო ნაბიჯების გადადგმას ვუცდით.

მომჩივნებელი.

# დროზდოვის და ლასის კონცერტი

პეტროგრადის კონსერვატორიის პროფესორმა ვლადიმერ დროზდოვმა სახელმწიფო I კონსერვატორიაში მოაწყო თავისი პირველი clavierabend. ვრცელი პროგრამა შემდგარი იყო შუმანის, შოპენის და ლისტის უკვდავ ნაწარმოებებიდან.

მოქ. დროზდოვს სახელი განთქმული აქვს როგორც საესტრადო პიანისტს, ასე რომ ზედმეტია ლაპარაკი მის შესამჩნევ ტეხნიკაზე, მუსიკალობაზე და შესრულების სხვა დეტალებზე. განსჯა შეიძლება მხოლოდ მის შესრულების სუბიექტიურ გადმოცემაზე, მის ინდივიდუალობაზე.

ეს მხარე ყოველთვის არ იყო მხატვრული. დავიწყოთ შუმანის კარნავალიდან. დამკვრელი მას თავისებურად ასრულებს—არ არის რითმი, არ არის შუმანის სტილი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქო პიანისტს სურდა დაკვრის „როგორმე“ ჩქარება, სცენებში „promenade aveu“, „chopin“, „charina“ განსაკუთრებით აკლდება ორიგინალობის სურვილი.

შოპენის ცნობილი სონატა b—moll კარგად შესრულებული იქნა პირველი და მეორე ნაწილი, პირველი—სილამაზით და განცდით, მეორე—დინამიური ასახვით. ეს სონატა შოპენის მიერ სიმბოლიურ მნიშვნელობით არის დაწერილი. მასში უნდოდა ჩაექსოვა პოლონეთის სახელმწიფოებრიობა. მეორე ნაწილი—სახელმწიფოებრიობის გაფურჩქვნაა და შესრულებაც მოითხოვს მეტ აღმაფრთოვანებას.

მესამე ნაწილი—სახელმწიფოებრიობის დადუპვაა—სამგლოვიარო ჰიმნი. სიმბოლიურად ისახება სამგლოვიარო პროცესია. შესრულება უნდა დაიწყებულ იქნას piano-თი, შემდეგ ხმიანობა განვითარდეს forte მდე (პროცესია ახლოვდება)—შემდეგ იხდიან კათოლიკურ ლიტიას, შემდეგ პროცესია მიდის და სამგლოვიარო ჰიმნის ხმები წყდება. ასეთია სურათი და ასე ასრულებენ ამ მარშს გამოჩენილი პიანისტები (ა. რუბინშტეინი, გოფმანი, სლავიანსკი და სხვა) დროზდოვი კი ლიტიის შემდეგ piano-ს იძლევა, შემდეგ ანვითარებს fortissimo მდე და piauissimo-ს ათავებს.

ეს, ჩემი აზრით, არ არის მართალი მოქ. დროზდოვი სონატას მხატვრულად ათავებს (ქარი საფლავზე) ლისტის მიერ გადაკეთებულ ვაგნერის ვალკირიიდან ამოღებული ნაწილი მოსაწონი იყო კიდევ უკეთესი შესრულება ქონდა ტანგეიზერის უვერტიურას. კარგად იყო ასრულებული მენდელსონის Filesue „სიზმარი ზაფხულის ღამეს“.

საერთოდ ტეხნიკა (perlé) საკვირველი აქვს. სასურველად შეასრულა პოლონეზი as—dur, ხოლო შოპენის ფანტაზიაში impromu სასურველია პირველ ნაწილის მელოდიის მეტად გარკვეული სურათის მოცემა.

დროზდოვს დიდი გამარჯვება ხვდა.

პ. ბ.

# დადგენილება № 139

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა.

სავალიუტო ოპერაციების შესახებ.

სავალიუტო ოპერაციების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა საბჭოთა, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებას და პირს, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, სახალხო ბანკის გარეშე, წარმოება უცხოეთის ვალიუტის ყოველგვარი ოპერაციისა, როგორც საკუთარი ანგარიშით, აგრეთვე მესამე პირთა ანგარიშით: ამასთანავე აეკრძალება ყიდვა, გაყიდვა და დაგირავება უცხოეთის ფულის ნიშნებისა, ჩეკებისა და ტრატტისა.

2. საბჭოთა, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება და პირი, რომელსაც საჭიროება ექნება იყიდოს ან გაყიდოს ვალიუტა,—მიმართავს სახალხო ბანკს, სადაც ყოველგვარი გარიგება მოხდება ნებაყოფლობითი შეთანხმებით.

3. მიენიჭოს სახალხო ბანკს უფლება,—განსაკუთრებულ შემთხვევაში, მისცეს ხოლმე საბჭოთა, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათ და პირთ ნებართვა უცხოეთის ვალიუტის შეძენისა.

4. ყველა ის პირი, ვინც შენიშნული იქნება ამა დადგენილების მოთხოვნილებათა დარღვევაში, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით და ნასყიდი ან გასაყიდი უცხოეთის ვალიუტის კონფისკაციით.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვირკველია.

ფინანსთა სახალხო კომისარი ალ. სვანიძე.

რევკომის მდივანი ალ. ხალარაძე.

1922 წ. თებერვლის 9-ს.

ტფილისი—სასახლე.